499962.1
ʒ-385

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

თამარ უკლება

ინფინიტიური კონსტრუქცია საშუალ ქართულში

10.02.01– ქართული ენა

ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის
სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად
წარმოდგენილი დისერტაციის

ა ვ ტ ო რ ე ფ ე რ ა ტ ი

თბილისი
2005

ნაშრომი შესრულებულია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალი ქართული ენის კათედრაზე

სამეცნიერო ხელმძღვანელი: **ინეზა კიკნაძე,**
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი (10.02.01)

ოფიციალური ოპონენტები: **ზურაბ ჭუმბურიძე,**
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი (10.02.08)

დარეჯან ჩხუბიანიშვილი,
ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი,
დოცენტი (10.02.01)

დისერტაციის დაცვა შედგება 2006 წლის 8 თებერვალს 13 საათზე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებული P. 10. 07 №7 სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე.

მისამართი: 0128, თბილისი, ი.ჭავჭავაძის გამზირი №1,
I კორპუსი, 93-ე აუდიტორია.

დისერტაციის გაცნობა შეიძლება ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში
მისამართი: 0134, თბილისი, უნივერსიტეტის ქუჩა №2.

ავტორეფერატი დაგზავნილია 2006 წლის 6 იანვარს

სადისერტაციო საბჭოს
სწავლული მდივანი
ფილოლოგიის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი — რ. ქურდაძე

Библиотека
Тбилисского гос. педагогического института
иностранных языков
им. И. Чавчавадзе

- 2985 -

ნაშრომის ზოგადი დახასიათება

<u>თემის აქტუალურობა.</u> საშუალო ქართული გარდამავალი პერიოდია ძველი ქართულიდან ახალზე; ამდენად, ამ პერიოდის ქართულში მიმდინარე გრამატიკული პროცესების კვლევა ძალზე აქტუალურია ენის ისტორიის თვალსაზრისით.

ვითარებით ბრუნვაში საწყისით გადმოცემული ინფინიტივი ძველ ქართულში იღებს სათავეს და საშუალ ქართულშიც გვხვდება. მკვლევართათვის სადავოა – ინფინიტიური კონსტრუქცია საკუთრივ ქართული მოვლენაა, თუ უცხო (ბერძნული) ენის ზეგავლენის შედეგი.

<u>კვლევის მიზანი და ობიექტი.</u> წინამდებარე ნაშრომის მიზანია დაადგინოს XII-XVIII საუკუნეთა ძეგლების მონაცემების მიხედვით:

1. ინფინიტივის როლი წინადადებაში, მისი ფუნქციები და შექმნილი კონსტრუქციები;

2. როგორი ფორმაცვალება განიცადა ძველქართულმა ინფინიტივმა საკვლევ პერიოდში; რა დროის მანძილზე თანაარსებობდა ძველი და ახალი ფორმები, სანამ ძველი საბოლოოდ გამოვიდა ხმარებიდან; როგორ ხდებოდა გადასვლა ძველი ფორმებისა ახალზე.

დასმულ კითხვებზე პასუხის გასაცემად დავაკვირდით საშუალო ქართულის წერილობით ძეგლებს: მხატვრული პროზისა და პოეზიის ნიმუშებს, ისტორიული ხასიათის თხზულებებს, დოკუმენტებსა და საბუთებს. შევნიშნავთ, რომ შესწავლილ ძეგლთა უმეტესი ნაწილის ხელნაწერები გვიანი პერიოდისაა. მოსალოდნელია, რომ დროთა განმავლობაში მათ განეცადათ ცვლილებები როგორც შედგენილობის მხრივ, ისე ენობრივადაც. კვლევისას ვითვალისწინებთ ძეგლების ჟანრობრივ თუ თემატურ განსხვავებასაც.

<u>ნაშრომის ძირითადი შედეგები და მეცნიერული სიახლეები.</u> საშუალო ქართულის მასალაზე დაყრდნობით გამოვლენილია:

ა) ინფინიტივის ფუნქციები წინადადებაში: პირდაპირი დამატების, უბრალო დამატების, მიზნის გარემოების, ქვემდებარის, პრედიკატული წევრის (შედგენილი შემასმენლის სახელად ნაწილად) ფუნქციით;

ბ) ინფინიტივის მიერ შექმნილი გარდაუვალი და გარდამავალი ზმნის შესაბამისი კონსტრუქციები.

მასალაზე დაკვირვებამ მოგვცა საშუალება დაგვედგინა, თუ რა გრამატიკული ფორმაცვალება განიცადა ძველქართულმა ინფინიტივმა; ფორმაცვალების რა საფეხურები განვლო დროის ამა თუ იმ მონაკვეთში და როგორი ხანგრძლივობით მიმდინარეობდა ეს პროცესი. ამასთან დაკავშირებით საყურადღებოდ მინგვაჩნია ჩვენი დაკვირვება პირველი